

ფრედ კორთაგენის რეფლექსიური წრე, როგორც მასწავლებლის
პროფესიული განვითარების ინსტრუმენტი

მადონა ბოლქვაძე

ნინო ყარალაშვილი

სოფიო ბარბაქაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი
ჯგუფის მასწავლებელი (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ტალიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მადონა ბოლქვაძე

ნინო ყარალაშვილი

სოფიო ბარბაქაძე

19.06.2016

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ფრედ კორთაგენის რეფლექსიური წრის (ALACT მოდელის) მიხედვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება, მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაზრდა, პედაგოგებში თვითრეფლექსიის უნარის განვითარება.

როგორც ვიცით, მასწავლებლებს მოეთხოვებათ თვითრეფლექსია, რომელსაც ვერ ახორციელებენ სათანადოდ, რაც ხელს უშლის მათ პროფესიულ განვითარებას. ხოლო ფრედ კორთაგენის რეფლექსიური წრე (ALACT მოდელი), ეფექტურად გამოიყენება მასწავლებლის თვითრეფლექსიისა და ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებისთვის და სწორედ მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული.

კვლევის დროს გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდი, ხოლო ინსტრუმენტებად შევარჩიეთ დაკვირვება და სიღრმისეული ინტერვიუ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა მასწავლებლის პროფესიული ზრდის საჭიროებები, რომლებიც გამოიხატა:

- შეფასებაში;
- თვითრეფლექსიაში;
- ურთიერთთანამშრომლობაში.

კვლევის პროცესში განხორციელდა სხვადასხვა ინტერვენციები. განხორციელებულმა ინტერვენციებმა მოგვცა დადებითი შედეგი, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებლის პრაქტიკის გაანალიზებას, მასწავლებლის შეფასებას და ურთიერთთანამშრომლობას, რაც პედაგოგებს პროფესიულ ზრდაში ეხმარება.

ძირითადი სამიზნო სიტყვები:

რეფლექსია, მასწავლებლის შეფასება, ურთიერთთანამშრომლობა, მასწავლებლის პროფესიული განვითარება.

მადლობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტები:

მადონა ბოლქვაძე

ნინო ყარალაშვილი

სოფიო ბარბაქაძე

სამაგისტო ნაშრომის, „ფრედ კორთაგენის რეფლექსიური წრე, როგორც მასწავლებლის პროფესიული განვითარების ინსტრუმენტი“, კვლევაში მონაწილეობისა და აქტიური თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით შპს „საშუალო სკოლა ლამპარს“ და კვლევაში ჩართულ თითოეულ მასწავლებელს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, ქალბატონ, თამარ ტალიაშვილს, კონსულტაციებისა და კრიტიკული შენიშვნებისათვის.